სამომხმარებლო ფასები - იანვარი - ივნისი, 2015

ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები

Delivering Progress

გამოცემა #51 / 31.07.2015

2015 ივნისში, 2014 წლის ივნისთან შედარებით, სამომხმარებლო ფასები 4.5%-ით გაიზარდა.

აღნიშნულ პერიოდში ფასები ყველაზე მეტად გაიზარდა შემდეგ ჯგუფებზე:

• ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო (11.4%). მათ შორის არყის (28.5%), ადგილობრივი წარმოების უფილტრო სიგარეტისა (23.6%) და ლუდის (14.6%) ფასი;

• ავეჯი, საოჯახო ნივთები და სახლის მოვლა (8.2%). მათ შორის ქაღალდის ხელსახოცების (21.6%), მტვერსასრუტისა (16.8%) და კონდიციონერის (14.6%) ფასი;

• ჯანდაცვა (7.4%). მათ შორის ანთების საწინააღმდეგო პრეპარატების (28.2%), ვიტამინების (21.4%), ანტიბიოტიკებისა (20.3%) და საავადმყოფოს მომსახურების (5.1%) ფასი.

აღნიშნულ პერიოდში ფასები ყველაზე მეტად შემცირდა შემდეგ ჯგუფებზე:

• ტანსაცმელი და ფეხსაცმელი (-3.3%). მათ შორის ბავშვის ქურთუკის (-12.8%), მამაკაცის პიჯაკის (-10.0%), ბავშვის პერანგისა (-5.2%) და გოგოს საზაფხულო ფეხსაცმლის (-4.6%) ფასი.

• ტრანსპორტი (-0.6%), მათ შორის დიზელის საწვავისა (-7.5%) და საქალაქთაშორისო ავტოტარნსპორტით მგზავრობის (7.1%) ფასი.

2015 წლის ივნისში, საარსებო მინიმუმის კალათაში შემავალი პროდუქტების ფასები საშუალოდ გაზრდილია 18.2% - ით, ხოლო შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმის მოცულობა კი საშუალოდ - 7.9 % - ით.





წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი

2015 წლის განახლებული სამომხმარებლო კალათა შედგება 295 სახეობის სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურებისაგან. მასში ყველაზე დიდი წილი აქვს სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების (31%), ტრანსპორტის (12%), ჯანდაცვის (9%), საცხოვრებელი სახლის, წყლის, ელ.ენერგიის და ბუნებრივი აირებისა (9%) და დასვენების, გართობისა და კულტურის (7%) ჯგუფებს.

2015 წლის იანვარ-ივნისის პერიოდში, 2014 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ფასები საშუალოდ 2.6%-ით არის გაზრდილი. ფასების ზრდაში ყველაზე დიდი წილი (1 % პუნქტი) სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფმა შეიტანა. აღსანიშნავია, რომ 2014 წლის იანვარ-ივნისის ფასების საშუალო ზრდაში, 2013 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ტრანსპორტის საქონლისა და მომსახურების ჯგუფის წილი დადებითი იყო (0.1% პუნქტი), ხოლო 2015 წლის შესაბამისი მაჩვენებელი უარყოფითია (-0.6% პუნქტი).





წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი

2015 წლის იანვარი-ივნისის პერიოდში, სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე ფასები საშულოდ 3.3%-ით გაიზრდა, 2014 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. აღნიშნულ ჯგუფში ფასები ყველაზე მეტად გაზრდილია შემდეგ პროდუქტებზე: ატამი (64.0%), მანდარინი (62.8%) და ნიგოზი (56.2%). სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფში ფასები ყველაზე მეტად ბათუმში (4.5%), ხოლო ყველაზე ნაკლებად გორში (2.3%) გაიზარდა.

აღნიშნულ პერიოდში ფასები 4.9%-ით შემცირდა ტრანსპორტის ჯგუფში, რაც უმეტესად გამოწვეულია ფასების შემცირებით შემდეგ პროდუქტებზე: დიზელის საწვავი (-14.4%), ბენზინი (-14.0%) და საქალაქო ავტოტრანსპორტით მგზავრობა (-5.5%). აღნიშნულ პერიოდში, ტრანსპორტზე ფასები ყველაზე მეტად თბილისში (-5.5%), ხოლო ყველაზე ნაკლებად ქუთაისში (-3.5%) შემცირდა.



წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი

2015 წლის იანვარი - ივნისის პერიოდში, 2014 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ჯანდაცვის ჯგუფში ფასები 6.7%-ით გაიზარდა. აღნიშნულ კატეგორიაში ფასები ყველაზე მეტად გაიზარდა შემდეგ პროდუქტებზე: ანთების საწინააღმდეგო პრეპარატები (20.0%), ანტიბიოტიკები (15.1%) და ვიტამინები (14.4%).

აღნიშნულ პერიოდში, ჯანდაცვის ჯგუფში ფასები ყველაზე მეტად ბათუმში (10.9%), ხოლო ყველაზე ნაკლებად თბილისშია (4.7%) გაზრდილი.

2015 წლის იანვარი - ივნისის პერიოდში, 2014 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, საცხოვებელ სახლზე, წყალზე, ელ.ენერგიაზე და აირებზე ფასები საშალოდ გაზრდილია 1.4%-ით. ყველაზე მეტად ფასები გაიზარდა შემდეგ პროდუქტებზე: საფანჯრე მინა (22.5%), ემულსიის საღებავი (12.1%) და სანტექნიკოსის მომსახურება (11.4%).

აღნიშნულ პერიოდში, ამ კატეგორიაზე ფასები გაზრდილია თბილისში (3.1%), გორში (2.1%), ბათუმსა (1.9%) და თელავში (0.6%), ხოლო შემცირებულია (-3.5%) ქუთაისში.



წყარო: საქსტატი

2015 წლის იანვარი - ივნისის პერიოდში, 2014 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, დასვენების, გართობისა და კულტურის ჯგუფში ფასები საშუალოდ 2.6%-ით გაიზარდა. მათ შორის, ფასები ყველაზე მეტად გაზრდილია შემდეგ პროდუქტებზე: გაზეთი (9.8%), სასკოლო სახელმძღვანელო (9.0%) და საკაბელო ტელევიზიის გადასახადი (7.6%).

აღნიშნულ პერიოდში, ამ კატეგორიაში ფასების ყველაზე მაღალი ზრდა დაფიქსირდა ბათუმში (4.1%). ფასები ერთნაირად არის გაზრდილი თელავში, თბილისსა და ქუთაისში (2.5%), ხოლო შემცირებულია გორში (-0.1%).

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები	2012	2013	I 2014*	II 2014*	III 2014*	IV 2014*	2014*	I 2015*
ნომინალური მშპ (მლნ. დოლარი)	15846.8	16139.9	3605.3	4064.1	4320.4	4527.8	16528.5	3298.9
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (დოლარი)	3523.4	3599.6	802.9	905.0	962.1	1 008,3	3680.8	884.5
მშპ-ს რეალური ზრდა	6.4%	3.3%	7.2%	5.2%	5.6%	1.8%	4.8%	3.2%
სამომხმარებლო ფასების ინდექსი (საშუალო წლიური)	99.1	99.5					103.1	
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ. დოლარი)	911.6	941.9	265.3*	150.5*	507.5*	349.2*	1 272.5*	175.3
უმუშევრობის დონე	15%	14.6%					12.4%	
საგარეო ვალი (მლნ.დოლარი)	4739	4202		4082				
სიღარიბის დონე (რეგისტრირებული)	9.7%	9.7%					11.6%	

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
საქართველოს ეროვნული ბანკი
UN ComTrade (http://comtrade.un.org/db/)
* წინასწარი